საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-245

29/03/2022

ქ. თბილისი

„შპს „გუმი“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №ი-803 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2022 წლის 15 მარტს სამინისტროს მომართა შპს „გუმის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა 2014 წლის 19 დეკემბერს გაცემული №61 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2014 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „გუმის“ ასფალტის წარმოებაზე (ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №32) გაიცა №61 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

შპს „გუმის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „გუმი“-ს ასფალტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №ი-803 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გუმს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი